



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI

2023

MRAVALTAVI

Philological and Historical
Researches

Published since 1971

ქართული რეალთა

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიებანი

გამოდის 1971 წლიდან

„მრავალთავის“ 29-ე ტომში წარმოდგენილია ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობით-ისტორიული ხასიათის ნარკვევები, რომლებიც ეძღვნება ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს, აგრეთვე, 2022 წლის ქრონიკა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ და ცენტრის მეცნიერ თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული კონფერენციების, სემინარების, გამოფენების, ექსპედიციამივლინებების შესახებ. მკითხველი ასევე გაეცნობა ინფორმაციას ცენტრის მიერ 2022 წელს გამოცემული წიგნების შესახებ.

სარედაქციო კოლეგია

ნათია დუნდუა (პასუხისმგებელი მდივანი), დარეჯან კლდიაშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, მაია მაჭავარიანი, ნინო მელიქიშვილი (მთავარი რედაქტორი), თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე, დალი ჩიტუნაშვილი.

იოსტ გიპერტი (ჰამბურგის უნივერსიტეტი), ჰუბერტ კაუფჰოლდი (მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტი), ბერნარ კული (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი), ოლივერ რაისნერი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბერნარ უტიე (სამეცნიერო კვლევის ფრანგული ნაციონალური ცენტრი), თინათინ ქრონცი (მაინცის გუტენბერგის სახელობის უნივერსიტეტი), გაგა შურღაია (ნეაპოლის უნივერსიტეტი “L’Orientale”), ნინო ცხომელიძე (ჯონს ჰოპკინზის უნივერსიტეტი).

ტომის რედაქტორები: მაია მაჭავარიანი, დარეჯან კლდიაშვილი.

EDITORIAL BOARD

Dali Chitunashvili, Natia Dundua (executive secretary), Darejan Kldiashvili, Maia Matchavariani, Nino Melikishvili (editor-in-chief), Thamar Otkhmezuri, Maia Raphava, Mzia Surguladze, Apolon Tabuashvili.

Jost Gippert (Universität Hamburg), Hubert Kaufhold (Ludwig-Maximilians-Universität München), Bernard Coulie (Université Catholique de Louvain), Oliver Reisner (Ilia State University), Bernard Outtier (French National Centre for Scientific Research), Tinatin Chronz (Johannes Gutenberg-Universität Mainz), Gaga Shurghaia (University of Naples “L’Orientale”), Nino Zchomelidze (Johns Hopkins University).

Editors of the volume: Maia Matchavariani, Darejan Kldiashvili.

ISSN 0234-7385 („მრავალთავი“)

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2023

შინაარსი

თამარ ოთხმეზური

- ფიგურალური გამოთქმა – კანონი ილისტიკისაჲ – ვგრემ მცირის თარგმანებში
(არეოპაგიტული კორპუსი და გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ
საკითხავთა კრებული) 10

ნინო მელიქიშვილი

- წმ. ეფთვიმე ათონელის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ქართული თარგმანის
ბერძნული წყაროს შესახებ 26

ემვთიმე კოჭლამაზაშვილი

- ეფთვიმე მთაწმიდელის ერთი უცნობი თარგმანი 53

ნუშზარ პაპუაშვილი

- ახალციხის მეჩეთი და მისი ბიბლიოთეკა პავლე სანკოვსკის
სტატიის კვალდაკვალ 73

ლაშა ტყეშელაშვილი

- ევანგელისტის პონტოელის შრომათა ძველი ქართული თარგმანები (წინათონური) და
მათ შორის ერთი უცნობი შეგონება „ცუდადუაობისათვის“ 109

თეიმურაზ ჯოჯუა

- ძველი გაგაზის თავწმინდა გიორგის ეკლესიის 1026 წლის საღმშენებლო წარწერა
კახეთ-პერეთის მეფეების – კვირიკე III დიდისა და საჰლას მოხსენიებით 128

გიორგი ბიბილაშვილი

- სახლი ბეთანიაში (ბარონ ალ. ნიკოლაის წერილების მიხედვით) 164

EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI

- A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, gréorg. 5 with
Multispectral Imaging 175

WALKER R. THOMPSON

- Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion 205

მავდა მჟედლიძე

იოანე პეტრიწის ვრცელი ბიბლიოგრაფია 2021 წლამდე 233

ინფორმაცია

ქრონიკა 2022 257

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 2022 წლის გამოცემები 263

IN MEMORIAM

ზაზა ალექსიძის გახსენება 271

ეთერ ქავთარაძე (1937-2023) 279

CONTENTS

THAMAR OTKHMEZURI

- Figurative Expression – A Rule of Ilistiki – in the Collection of Gregory the Theologian’s Liturgical Sermons and the Corpus Areopagiticus Translated by Ephrem Mtsire 10

NINO MELIKISHVILI

- On the Greek Source of the Georgian Translation of the “Life of the Virgin Mary” by St. Euthymius the Hagiorite (based on the research of Michel Van Esbroeck and Christos Simelidis) 26

EKVTIME KOCHLAMAZASHVILI

- A Previously Unknown Translation by Euthymius the Hagiorite 53

NUGZAR PAPUASHVILI

- Akhaltshikhe Mosque and Its Library: Following Pavel Sankovski’s Article 73

LASHA TKEBUCHAVA

- Old-Georgian (Pre-Athonite) Translations of the Works of Evagrius Ponticus and Among Them One Unknown Admonition “De Vana Gloria” 109

TEMO JOJUA

- The 1026-year-old Construction Inscription of the Church of St. George of Old Gavazi, Mentioning the Kings of Kakheti-Hereti – Kvirike III the Great and Sahla 128

TSISANA BIBILEISHVILI

- The House in Bethania (Based on the Letters of Baron Al. Nikolai) 164

EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI

- A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging 175

WALKER R. THOMPSON

- Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion 205

MAGDA MCHEDLIDZE

- An Extensive Bibliography of Ioane Petritsi up to 2021 233

INFORMATION

- Chronicle – 2022 257
Publications of the National Center of Manuscripts – 2022 263

IN MEMORIAM

Remembering Zaza Aleksidze	271
Eter Kavtaradze (1937-2023)	279

ხელნაწერთა ძირითადი საცავები საქართველოში

შემოკლებები

გიმ	სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
სცსპ	საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საქართველოს ეროვნული არქივი)
სიმ	სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
სჟიმ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ქიმ	ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ხმ	შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ხეც	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი)
ზიამ	ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
NCM	National Centre of Manuscripts

ეფთვიმე მთაწმიდელის ერთი უცნობი თარგმანი

ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი ღვაწლი განსაკუთრებული მოვლენაა ძველ ქართულ სასულიერო ლიტერატურაში. სულიერი სიღრმეების ზედმიწევნითი წვდომა, ხატოვანი ენა, მისაწვდომი გადმოცემა და ქართველი მკითხველის ინტელექტურ საჭიროებათა გათვალისწინებით სათარგმნელ ტექსტში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა მის ვრცელ შემოქმედებას მკვეთრად გამოარჩევს ყველა სხვა მწერლის ნაღვაწისაგან. ბიზანტიური მწერლობის საუკეთესო ძეგლების ეფთვიმესეული ბრწყინვალე თარგმანები როგორც მის თანამედროვეთა, ისე მომდევნო საუკუნეების სწავლულთა საყოველთაო აღტაცების საგანი იყო და ასეთად რჩება დღემდე.

ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანთა პირველი, არასრული კატალოგი ჯერ კიდევ მამამისმა, იოანე მთაწმიდელმა შეადგინა,¹ შემდეგ მისი შვილებმა სცადა გიორგი მთაწმიდელმა „იოვანესა და ეფთვემს ცხოვრებაში“, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ „ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნნი თარგმნნა ღმერთშემოსილმან მამამან ჩუენმან“.²

თუკი თანამედროვეთათვისაც კი ძნელი იყო ეფთვიმეს თარგმანთა სრული კატალოგის შედგენა, მით უფრო ძნელია ეს საქმე ამჟამად, როდესაც ზოგი რამ დაკარგულია, ზოგიც მთარგმნელის მოუხსენებლადაა შეტანილი ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში. ამის მიუხედავად, სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ანონიმური თარგმანის ეფთვიმესეულობის დადგენა.³ წინამდებარე სტატიით ეფთვიმე მთაწმიდელის კიდევ ერთ, აქამდე უცნობ, თარგმანს გავაცნობთ მკითხველს.

¹ თარგმანებად მათეს სახარებისად, გვ. 14-15.

² „ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვემისი“, გვ. 64.

³ ამას წინათ მთარგმნელობითი სტილის მიხედვით მოგვიხერხდა წმ. გრიგოლ ნოსელის ორი თხზულების ქართულ თარგმანთა ეფთვიმესეულობის დადგენა („დიდი კატექეტიკური სიტყვისა“ და „წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრებისა“). იხ. კოჭლამაზაშვილი, „წმ. გრიგოლ ნოსელის ‘დიდი კატექეტიკური სიტყვა‘“, გვ. 7-70; კოჭლამაზაშვილი, „გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრება“, გვ. 375-388.

ესაა რამდენიმე გამოკრებული თავი წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეულიდან“, ანუ ოთხასი მცირე თავისაგან შედგენილი ასკეტური თხზულებიდან – „სიყუარულისათვის“.

ამ თავებს წავაწყდით ასკეტურ თხზულებათა შემცველ და ერთნაირი შედგენილობის სამ კრებულში – ხეც S-1595 (XIII ს.), ხეც A-116 (XVIII ს.) და ხეც A-57-ში (XVIII ს.), ასევე, ერთ მომცრო ხელნაწერში – ხეც. A-337-ში (XVIII-XIX სს.). ამ ხელნაწერებს შემოკლებისათვის ქვემოთ პირობითად აღვნიშნავთ S, T, U და D სიმბოლოებით, შესაბამისად.

ხსენებული სამი კრებული (STU) ვრცელ ანთოლოგიონს წარმოადგენს, რომელიც პატრისტიკული ლიტერატურის დიდი ბიბლიოთეკიდან გამოუკრებია მის შემდგენელს.⁴ მასში შეტანილი მასალის გამოწვლილვითი შესწავლა გვარწმუნებს, რომ შემდგენელი იყო ეფთვიმე მთაწმიდელი, რომელსაც ეს კრებული შეუდგენია თავისი მთარგმნელობითი მუშაობის პირველ ეტაპზე.⁵ წმ. მაქსიმე აღმსარებლის, წმ. ბასილი დიდის, წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის, წმ. ათანასე ალექსანდრიელის, წმ. ანასტასი სინელის, წმ. დოროთე ღაზელის, წმ. იოანე სინელის და სხვა ავტორთა თხზულებებიდან ეფთვიმეს გამოუკრებია რჩეული ადგილები და თითოეული ამ გამონაკრებისათვის უწოდებია „რჩევით გამოკრებულნი“. ნიშანდობლივია, რომ სამივე კრებულში შეტანილი ფრაგმენტები იმ თხზულებებიდანაა გამოკრებილი, რომლებიც ეფთვიმეს მოგვიანებით სრულად უთარგმნია.⁶ ანთოლოგიონში გამოკრებილი ფრაგმენტების შედარება იმავე თხზულებათა ეფთვიმესეულის სრული თარგმანების შესაბამის ადგილებთან გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ ისინი ზედმიწევნით ემთხვევა ერთმანეთს, ზოგჯერ კი მათ შორის მცირე რედაქციული განსხვავებებია.⁷

⁴ ამ კრებულთა პარალელური აღწერილობა იხ. კოჭლამაზაშვილი, „ეფთვიმე მთაწმიდელის ‘რჩევით გამოკრებულნი‘“.

⁵ იხ. კოჭლამაზაშვილი, „ეტაპობრიობა ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მოღვაწეობაში“.

⁶ ესენია: წმ. მაქსიმეს „კითხვა-მიგება თალასესადმი“, წმ. დოროთე ღაზელის „სწავლანი“, ფსევდობასილის „თქმული ლოცვისათვის“, წმ. გრიგოლ ჰრომთა პაპის „დიალოგონი“, იოანე სინელის „კლემაქსი“, პატერიკი და სხვ. იხ. კოჭლამაზაშვილი, „ეტაპობრიობა ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მოღვაწეობაში“.

⁷ იხ. შჩერბაკოვი, „A-116 და A-57 ნუსხების“; კოჭლამაზაშვილი, *ევაგრე პონტოელის De Oratone და მისი ძველი ქართული ვერსიები*; მისივე: „წმ. მაქსიმე აღმსარებლის მიგებანი თალასე ხუცის კითხვებზე“ (იბეჭდება *ქრისტიანულ-არქეოლოგიურ ძიებათა* X ტომში). STU კრებულებით ჩვენამდე მოღწეულ ანთოლოგიონში გამოკრებილი თხზულებების შედარებისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ აგრეთვე ეფთვიმესეული სხვა სრული თარგმანების კრიტიკული

ყველა შემთხვევაში, როდესაც გამოკრებილი თარგმანის ტექსტი შესაბამის თხზულებათა სრული თარგმანების ტექსტს სცილდება, სრული თარგმანის ტექსტი სტილური დამუშავების უკეთეს ხარისხს გვიჩვენებს.⁸ ამ ვითარებას მივიჩნევთ იმის ნიშნად, რომ სათარგმნელად შერჩეული თხზულებებიდან ეფთვიმეს ჯერ რჩეული ადგილები გამოუკრებია, რათა მათ დროულად გასცნობოდა ქართველი მკითხველი, მოგვიანებით კი, როდესაც მათი სრულად თარგმნისათვის მოიცალა, ადრე უკვე თარგმნილი ფრაგმენტები თავ-თავის ადგილას ჩართო, ზოგიერთი ადგილი კი რედაქციულად გადაამუშავა და უკეთესი სტილით შეიტანა სრულ თარგმანში.

თუ დავუშვებთ, რომ, პირიქით, ეფთვიმემ ჯერ სრულად თარგმნა ზემოხსენებულ ავტორთა თხზულებანი და შემდეგ იქიდან გამოკრიბა რჩეული ადგილები, გაუგებარი იქნება, რად შეცვალა ზოგიერთი ადგილი უარესი სტილური ვარიანტით.

მაშასადამე, აშკარაა, რომ ეფთვიმეს ეტაპობრივად უმუშავია თავის თარგმანებზე: ჯერ მოუნიშნავს ის ლიტერატურა, რისი თარგმნაც აუცილებელ საჭიროებად მიუჩნევია, შემდეგ კი თანდათანობით შესდგომია წინასწარ განსაზღვრული მთარგმნელობითი გეგმის შესრულებას და სრულად უთარგმნია მის მიერ პირველ ეტაპზე გამოკრებით თარგმნილი თხზულებები.⁹

STU, როგორც ვთქვით, ერთნაირი შედგენილობის ანთოლოგიონებია. ორ მათგანში (T-სა და U-ში) შეტანილი მასალის ნაწილი ბიბლი-

გამოცემები: ქიტოშვილი - ნაჭყებია (გამოც.), *წიგნი წმიდისა მამისა დორითოსი*; წმიდა იოვანე სინელი, *კლემაქსი*; ქავთარია (გამოც.), „დილოლონი“.

⁸ ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ რამდენიმე შემთხვევა იმისა, რომ ეფთვიმე ერთსა და იმავე თხზულებას ორჯერ თარგმნის, ისე, რომ ერთი თარგმანი გამოკრებილია, მეორე – სრული. სრული თარგმანები რომ ყოველთვის უკეთეს სტილურ ვარიანტებს გვიჩვენებენ, ვიდრე გამოკრებილი თარგმანები, ამის მრავალი მაგალითი გვაქვს წარმოდგენილი მონოგრაფიაში: *პავლეს ეპისტოლეთა განმარტება* (გვ. 353-412), ასევე, სტატიაში „ეტაპობრიობა ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მოღვაწეობაში“ და წიგნში *ევაგრე პონტოელის De Oratone-ს ძველი ქართული ვერსიები* (გვ. 84-89). ამავე თემას ვრცლად ვეხებით პუბლიკაციაში „წმ. მაქსიმე აღმსარებლის მიგებანი თალასე ხუცის კითხვებზე“. ამიტომაც ზემოხსენებული თეზისის დამამტკიცებელი მაგალითების მოხმობა აქ ზედმეტად მიგვაჩნია.

⁹ ხეც S-1595, ხეც A-116 და ხეც A-57 ხელნაწერებით შემონახული ანთოლოგიონის გარდა, „გამოკრებულ სწავლათა“ ეფთვიმესეული სხვა კრებულებაცაა ცნობილი, რომელიც XVII-XVIII სს-ში პოსტათონურ „კურთხევათა“ რამდენიმე კრებულისათვის დაურთავთ. იხ.: კოჭლამაზაშვილი, „გამოკრებულ სწავლათა“ წარმომავლობისათვის“.

ოგრაფირებული იყო კ. კეკელიძის მიერ, კერძოდ, „გამოკრებულნი სწავლანი“ წმ. ანასტასის, წმ. მაქსიმეს, წმ. დოროთეს და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან. მკვლევარი მათ თარგმნას (და ერთ კრებულში გაერთიანებასაც) ეფთვიმე მთაწმიდელს აკუთვნებდა.¹⁰ ამ კრებულთა შედგენაც და თარგმნაც რომ წმ. ეფთვიმეს ეკუთვნის, ეს აზრი ენრიკო გაბიძაშვილმა¹¹ და კახა შჩერბაკოვმაც გაიზიარეს¹² და ჩვენი კვლევაც ამასვე ეთანხმება.¹³

STU-ში შეტანილი ზოგიერთი მასალა გამოქვეყნებულია, მათ შორის – ფსევდოპიგრაფიკული „თქმული წმიდისა ბასილისი ლოცვისათჳს“¹⁴ და „სწავლათაგან წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისათა, რჩევით გამოკრებული“.¹⁵ ეს უკანასკნელი D ხელნაწერში განსხვავებულია დასათაურებული: „თქმული მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისა, სწავლანი სულიერნი“.¹⁶

STU-ის „რჩევით გამოკრებულში“ უფრო მეტი ტექსტობრივი მასალაა შეტანილი, ვიდრე D-ს „სულიერ სწავლანში“, მაგრამ ურთიერთშემხვედრ ადგილებში მათი ტექსტები სავსებით ემთხვევა ერთმანეთს.

S ხელნაწერში ეს გამონაკრები 36 თავს შეიცავს. ამათგან 16 თავი აკლია T ხელნაწერს (7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 30). იგივე თავები აკლია D ხელნაწერსაც და, დამატებით, 23-ე და 36-ე თავები.¹⁷ ეს დანაკლისი TD ხელნაწერთა საერთო ნაკლული დედნიდან უნდა მომდინარეობდეს.

U ხელნაწერიც იმავე ნაკლული დედნიდან გადაუწერიათ, რომლიდანაც TD, მაგრამ U რამდენადმე უფრო ადრეა გადაწერილი, სანამ იმავე დედნიდან

¹⁰ იხ. კეკელიძე, „უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში“, გვ. 12, 40-41, 98; მისივე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, გვ. 203-204.

¹¹ იხ. გაბიძაშვილი, *ასკეფურ-მისციკური ნათარგმნი და ორიგინალური მწერლობა*, გვ. 374.

¹² იხ. შჩერბაკოვი, „A-116 და A-57 ნუსხების“, გვ. 175-180.

¹³ კოჭლამაზაშვილი, „ეფთვიმე მთაწმიდელის ‘რჩევით გამოკრებულნი‘“.

¹⁴ კოჭლამაზაშვილი, *ევანგელური პონტოელის De Oratione*, გვ. 180-188.

¹⁵ დანართად დაიბეჭდა მონოგრაფიაში: კოჭლამაზაშვილი, *წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“*. „რჩევით გამოკრებულის“ პუბლიკაციისათვის, ხეც S-1595 (S), ხეც A-116 (T) და ხეც A-57 (U) კრებულების გარდა, გამოვიყენეთ ხეც A-337 (D) ხელნაწერიც.

¹⁶ ამ სათაურით შევიტანეთ „რჩევით გამოკრებულის“ ტექსტი სხენებულ პუბლიკაციაში.

¹⁷ STUD ხელნაწერთაგან არც ერთში თავები აღრიცხული არაა. ჩვენ დავნომრეთ ზოგიერთი ხელნაწერის დეფექტებისა და წმ. მაქსიმეს „ოთხასეულთან“ შემხვედრი ადგილების მითითების საჭიროების გამო.

T-სა და D-ს გადაწერდნენ. ამას მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ U-ს გადაწერის დროისათვის ერთი-ორი ზედმეტი ფურცელი ჰქონია დედანს წმ. მაქსიმეს „სულიერ სწავლათა“ (ანუ „რჩევის გამოკრებულის“) ნაწილში, და ეს ფურცლები TD-ს გადაწერისას იქ უკვე აღარ იყო. ამ ფურცლებზე დაწერილი უნდა ყოფილიყო მე-6 თავის დაბოლოება, 8-15 თავები სრულად და მე-16 თავის დასაწყისი. U-ს გადაწერის დროს ეს ფურცლები თავის ადგილას კი არ იდო, არამედ ორიოდ ფურცლის შემდგომ ისე, რომ მისი ტექსტი 29-ე თავის შუა ნაწილში მოხვედრილა. ფურცლების არევა U-ს გადამწერს ვერ შეუმჩნევია და 6-16 თავების ტექსტი 29-ე თავის შუა ნაწილში მოუთავსებია ყოველგვარი შენიშვნის გარეშე. ამრიგად, U ხელნაწერს მხოლოდ ექვსი თავი აკლია (17, 18, 19, 20, 21 და 30).

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ STUD ხელნაწერებში წავაწყდით რამდენიმე გამოკრებულ თავს წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეულიდან“, ანუ ოთხასი მცირე თავისაგან შედგენილი ასკეტური თხზულებიდან – „სიყუარულისათვის“. ეს თავები აღმოჩნდა სწორედ ზემოხსენებულ კომპილაციაში – „სწავლათაგან წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებლისათა, რჩევით გამოკრებული“ (D ხელნაწერის ვარიანტით – „წმ. მაქსიმეს სწავლანი სულიერნი“).¹⁸

წმ. მაქსიმე აღმსარებლის ოთხასეული – „თავნი სიყუარულისათვის“ (Κεφαλαία Περὶ Ἀγάπης, Capita de caritate, CPG 7693), რომელიც ვინმე ელპიდი ხუცისათვის მიუძღვნია ავტორს, ასკეტური თეოლოგიის შესანიშნავი ძეგლია.¹⁹ წმ. მაქსიმეს ასკეტურ ქმნილებათა შორის იგი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია.²⁰ ოთხას მოკლე თავში (გნომებში) გადმოცემულია სულიერი რეკომენდაციები ღმრთივსათნო ცხოვრებისათვის და ამ სათნოებათა მწვერვალად სიყვარულია გამოცხადებული.

წმ. მაქსიმეს თხზულება მრავალ ენაზეა თარგმნილი. ამათ შორის უძველესად არის მიჩნეული ლათინური თარგმანი XII საუკუნისა. დაახლოებით ამავე დროს უთარგმნიათ ქართულადაც ელინოფილური

¹⁸ S-ში სათაურს ერთვის ანდერძი (სავარაუდოდ, ეფთვიმე მთაწმიდელისა): „წმიდანო ღმრთისანო, ლოცვა-ყავთ გლახაკისა მ-მსთუის“ (სახელის არასწორი დაწერილობა, ალბათ, დედნის ბუნდოვანებითაა გამოწვეული).

¹⁹ ბერძნული ტექსტი რამდენჯერმეა გამოცემული: J.-P. Migne (ed.), *Patrologiae cursus completus*, t. 90, 1865, col. 959-1080. კრიტიკული გამოცემა, იტალიური თარგმანიურთ: Aldo Ceresa-Gastaldo (ed.), *Massimo Confessore, Capitoli sulla carità* (Verba Seniorum 3), Roma 1963. ტექსტის პუბლიკაცია იხ., აგრეთვე, წმ. მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა სრულ კრებულში: Μαξίμου τῶν Ὁμολογητῶν Ἄπαντα τὰ ἔργα.

²⁰ Angelo di Berardino (ed.), *Patrologia*, vol. V, p. 114.

მთარგმნელობითი პრინციპებით (დედანთან მაქსიმალური სიახლოვის ტენდენციით). მთარგმნელის ვინაობა ცნობილი არაა, ხოლო თარგმანის ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით (ყველა – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციიდან): A-39 (XIII ს.), A-234 (XVIII ს.) A-711 (1785 წ.), A-1206 (XVIII ს.) S-1350 (1794 წ.), A-435 (XVIII ს.), S-327 (XVIII ს.).

ტექსტის გამოსაცემად მომზადებისას შევნიშნეთ, რომ წმ. მაქსიმეს „ოთხასეულის“ ზოგიერთ თავს შინაარსობრივად ძალზე უახლოვდებოდა ცალკეული თავები ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ გამოკრებილი კომპილაციიდან – „სწავლათაგან მაქსიმე აღმსარებელისათა, რჩევით გამოკრებულ“ (ანუ „სწავლანი სულიერნი“), რომელიც ჩემთვის ცნობილი იყო მის შემცველ ხელნაწერთა (STU) აღწერილობაზე მუშაობის შედეგად. შედარებამ დამარწმუნა, რომ „რჩევით გამოკრებულის“ 36 თავიდან ცხრა თავი სწორედ წმ. მაქსიმეს „ოთხასეულიდან“ გამოუკრებია მის შემდგენელს (სავარაუდოდ, თავად მთარგმნელს, ეფთვიმე მთაწმიდელს). ეს არის „ოთხასეულის“ თავები: I, 11; I, 53; I, 58; I, 85; III, 54; III, 55; IV, 31; IV, 35; IV, 85 (STUD კომპილაციაში მათ შეესაბამება II, IV, V, X, XXVII, XXVIII, XXXII, XXXIII, XXXVI).

მაშასადამე, ამ ცხრა თავის სახით ჩვენ წინაშეა კიდევ ერთი თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა. STU ანთოლოგიონებით ჩვენამდე მოღწეულ ეფთვიმესეულ კრებულში შეტანილი გამოკრებული თარგმანების გვერდით წმ. მაქსიმეს „ოთხასეულის“ ფრაგმენტების ჩართვა გვიჩვენებს, რომ ამ კრებულში ფრაგმენტებად შეტანილ სხვა თხზულებებთან ერთად, რომლებიც ეფთვიმემ მოგვიანებით სრულად თარგმნა, თურმე ეს დიდებული მოღვაწე „ოთხასეულის“ სრულ თარგმნასაც გეგმავდა. ამ გეგმის შესრულება დასცალდა თუ არა მას, ვერ ვიტყვით. ჩვენამდე არაა მოღწეული „ოთხასეულის“ ეფთვიმესეული სრული თარგმანის შემცველი არც ერთი ხელნაწერი.

ჯერჯერობით გვაქვს მხოლოდ სხენებული ცხრა თავის განხილვის საშუალება. ამ ცხრა თავის ფარგლებში ეფთვიმესეული თარგმანის თავისებურებათა საჩვენებლად პარალელურად წარმოვადგენთ მის ტექსტს ბერძნულ დედანთან ერთად. აქვე მოგვყავს წმ. მაქსიმეს „ოთხასეულის“ გვიანდელი (ელინოფილური) თარგმანის შესაბამისი თავებიც, წმ. მაქსიმეს თხზულების ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიის გასათვალისწინებლად:²¹

²¹ წმ. მაქსიმეს „ოთხასეულის“ ელინოფილური თარგმანის ტექსტს ვიმოწმებთ გამოცე-მიდან: კოჭლამაზაშვილი (გამოც), წმ. მაქსიმე აღმსარებლის

ბერძნული ტექსტი	ეფთვიმეს თარგმანი	ელინოფილური თარგმანი
1. 11 (ια') Πᾶσαι μὲν αἱ ἀρεταὶ συνεργοῦσι τῷ νῷ πρὸς τὸν θεῖον ἔρωτα, πλεόν δὲ πάντων ἡ καθαρὰ προσευχή· διὰ ταύτης γὰρ πρὸς τὸν Θεὸν περὸν ὄντων, ἕξω γίνεται πάντων τῶν ὄντων.	2. ყოველი სათნოებანი შეეწევინ სულსა, ხოლო უმეტეს ყოველთაჲსა – განკითხვით ლოცვაჲ გონებითა ღმრთიერითა და წმიდითა, რომელ არს სიყუარული, რამეთუ მის მიერ შეისხამს ფრთეთა და აღამაღლებს სულსა ზეცას წინაშე ღმრთისა.	I, 11. ყოველნივე უკუე სათნოებანი თანამოქმედ ექმნებიან გონებასა საღმრთოჲსა მიმართ ტრფილუებისა, ხოლო უმეტეს ყოველთა – ლოცვაჲ წმიდაჲ, რამეთუ ამის მიერ ღმრთისა მიმართ ფრთოვანქმნილი გარეგან იქმნების ყოველთა არსთა.
1. 53 (νγ') Ἐὰν θέλῃς τῆς κατὰ Θεὸν ἀγάπης μὴ ἐκπεσεῖν, μῆτε τὸν ἀδελφὸν ἀφῆς κοιμηθῆναι λυπούμενον κατὰ σοῦ μῆτε σὺ κοιμηθῆς λυπούμενος κατ' αὐτοῦ· ἀλλ' ὕπαγε, διαλλάγηθι τῷ ἀδελφῷ σου καὶ ἐλθὼν πρὸς φερὲ Χριστὸν καθαρῶ τῷ συνειδῶτι δι' ἐκτενοῦς προσευχῆς τὸ δῶρον τῆς ἀγάπης.	4. უკუეთუ გნებავს, ძმაო საყუარელო, რაჲთა არა განჰვარდე წყალობისაგან ღმრთისა, ნუ დასწვები გულმწყრალი ძმისაგან შენისა და ნუცა მას მიუშუებ შენგან მწუხარედ დაწოლად, არამედ ადრე წარვედ და დაეგე მას, და ეგრეთ მოვედ და შეწირე ლოცვაჲ შენი წინაშე ქრისტესა და მიაართუნ მას ძლუნად სიმდაბლე და სიყუარული, და ესრეთ შეიწირავს შენგან ცრემლთა.	I, 53. გნებავს თუ არა-განვრდომად ღმრთისა მიმართისა სიყუარულისაგან, ნუცა ძმასა უტევებ შენთვს მწუხარებით დაძინებად, ნუცა შენ მისთვს შეწუხებული დაძინებ, არამედ მივედ, დაეგე ძმასა შენსა, და მოვედ და შეწირე ქრისტესა ძლუენი სიყუარულისაჲ, წმიდითა სჯინდისითა და ლოცვითა აღჰყრობილითა.
1. 58 (νη') Μὴ δῶς τὴν ἀκοίῃν σου τῇ γλῶσση τοῦ καταλάου μηδὲ τὴν γλῶσσαν σου τῇ ἀκοῇ τοῦ φιλοψόγου, ἡδὲως λαλῶν ἢ ἀκούων κατὰ τοῦ πέλας, ἵνα μὴ ἐκπέσῃς τῆς θείας ἀγάπης καὶ ἀλλότριος εὐρεθῇς τῆς αἰώνιου ζωῆς.	5. ნუ მიუპყრობ ყურსა შენსა სმენად სიტყუათა მათ ძვრისზრახვისათა და ნუცა სცემ ენასა შენსა დაბრკოლებად ძმისა შენისა, რაჲთა არა განჰვარდე წმიდისა სიყუარულისაგან და კიდე-იზოვო მოწაფეთაგან ქრისტესთა.	I, 58. ნუ მისცემ სასმენელთა შენთა ენასა ძვრისმზახვალისასა, ნუცა ენასა შენსა სასმენელსა ძაგებისმოყუარისასა წადიერებით თქუმად ანუ სმენად რასმე მოყუსისათვს, რაჲთა არა განჰვარდე საღმრთოჲსა სიყუარულისაგან და უცხო იზოო საუკუნოჲსა ცხოვრებისაგან.

1. 85 (πε') Ὡσπερ στρουθίων τὸν πόδα δεδεμένον ἀρχόμενον πέτεσθαι, ἐπὶ τὴν γῆν κατασπᾶται, τῷ σχοινίῳ ἐλκόμενον· οὕτω καὶ ὁ νοῦς μὴ πῶ ἀπάθειαν κτησάμενος καὶ ἐπὶ τὴν τῶν οὐρανίων γνῶσιν πετόμενος, ὑπὸ τῶν παθῶν καθελκόμενος ἐπὶ τὴν γῆν κατασπᾶται.	10. ვითარცა მფრინველი რაჟამს დაების მახითა და უნებნ, რადთამცა აფრინდა, ხოლო მახე იგი აყენებნ, რამეთუ არნ ფერჳი მისი შეკრულ, ეგრეთვე ჩუენ, უკუეთუ არა ვიტყოდით მოძღუართა წინაშე სულიერთა ყოველსავე, სიმდიდრისა ამისგან ურგებისა და ზრუნვათაგან სოფლისათა დავებმით და დავეჩუევით და მას შინა სულითა მოგკუდებით.	I, 85. ვითარ-იგი მფრინველი ფერჳდაბმული, იწყებდეს რად ფრინვად, ქუეყანად დაეკუეთების საბლისა მიერ დაზიდვითა, ეგრეთვე გონებად, არდა მომგებელი უვნებულობისა, აღიფრინებდეს რად ზეცისა მცნობელობათა მიმართ, ვნებათა მიერ დაზიდული ქუეყანად დაეკუეთების.
3. 54 (νδ') Οὐκ ἔστι φρίξαι καὶ ἐκπλαγῆναι καὶ ἐκστῆναι τῇ διανοίᾳ ὅτι ὁ μὲν Θεὸς καὶ Πατὴρ κρίνει οὐδένᾳ, πάνταν δὲ τὴν κρίσιν δέδωκε τῷ Υἱῷ. Ὁ δὲ Υἱὸς κράζει· Μὴ κρίνετε, ἵνα μὴ κριθῇτε· μὴ καταδικάζετε, ἵνα μὴ καταδικασθῇτε. Ὁ δὲ Ἀπόστολος ὁμοίως· Μὴ πρὸ καιροῦ τι κρίνετε, ἕως ἄν ἔλθῃ ὁ Κύριος, καί· Ἐν ᾧ κρίματι κρίνεις τὸν ἕτερον, σεαυτὸν κατακρίνεις. Οἱ δὲ ἄνθρωποι ἀφέντες τὸ κλαίειν τὰς ἑαυτῶν ἁμαρτίας ἦραν τὴν κρίσιν ἀπὸ τοῦ Υἱοῦ καὶ αὐτοὶ ὡς ἀναμάρτητοι κρίνουσιν καὶ καταδικάζουσιν ἀλλήλους· καὶ ὁ μὲν οὐρανὸς ἐξέστη ἐπὶ τούτῳ, ἢ δὲ γῆ ἔφριξεν, αὐτοὶ δὲ οὐκ αἰσχύνονται ἀναισθητοῦντες.	27. არა უწყია, საყუარელო, რამეთუ მამად არავის სჯის, არამედ ყოველივე სასჯელი მოსცა ძესა? ხოლო ძე ღალადებს: „ნუვის სჯით, რადთა არა დაისაჯნეთ“. ხოლო მოციქული იტყვს: „ნუვის სჯით უწინარეს ჟამისა, ვიდრემდის მოვიდეს უფალი“, რამეთუ „რომლითა სასჯელითა სჯიდეთ ძმათა თქუენტა, თავთა თქუენტა სჯით“, და თანამდებ იქმნებით სასჯელსა საუკუნესა, რამეთუ კაცთა დაუტევებიეს ტირილი ცოდვათა თვსთა, და მოუღებეს სასჯელი ძისაგან ღმრთისა, რომელსა მოსცა მამამან, და თვთ სჯიან. და სულთაცა თვსთა დასჯიან. ცაჲ განტყდა ამას ზედა, და ქუეყანაჲ განცვბრდა საშინელსა ამას საქმესა.	III, 54. ანუ არა განცვბრდეთ და განეჰკრთეთ გონებითა, ვითარ ღმერთი მამად არცა ერთსა ვის სჯის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა. ხოლო ძმ ვმობს: „ნუ დასჯით, რადთა არა დაისაჯნეთ; ნუცა განიკითხავთ, რადთა არა განიკითხნეთ“. ხოლო მოციქული ეგრეთვე იტყვს: „ნუვის სჯით პირველ ჟამისა, ვიდრემდის მოვიდეს უფალი“, და „რომლითა-იგი დასჯი სხუასა, თავსა თვსსა დასჯი“. ხოლო კაცთა, დატევებითა თვსთა ცოდვათა ტირილისაჲთა, მოუტაცებიეს მსაჯულობაჲ ძისაჲ და თვთ სჯიან, ვითარცა უცოდველნი, და ურთიერთს სჯიან. ამას ზედა განცვბრდა ცაჲ და განჰკრთა ქუეყანაჲ. ხოლო იგინი უგრძნობელობით არა შეირცხვნენ.

3. 55 (ve') Ὁ τὰς τῶν ἄλλων ἁμαρτίας περιεργαζόμενος ἢ καὶ ἐξ ὑπονοίας τὸν ἀδελφὸν κρίνων, οὕτω ἔβηλεν ἀρχὴν μετανοίας οὐδὲ τοῦ ἐρευνᾶν καὶ γινῶναι τὰς ἑαυτοῦ ἁμαρτίας, ἐν ἀληθείᾳ βαρυτέρας οὐσας μολὶβδου πολυταλάντου, οὐδὲ ἔγνω πόθεν γίνεται ἄνθρωπος βαρυκάρδιος ἀγαπῶν ματαιότητα καὶ ζητῶν ψεῦδος. Διὰ τοῦτο ὡς ἄφρων καὶ ἐν σκότει διαπορευόμενος, ἀφείξ τὰς ἑαυτοῦ ἁμαρτίας τὰς τῶν ἄλλων φαντάζεται ἢ οὐσας ἢ νομιζόμενας ἐξ ὑπονοίας.	28. რომელი სხვა ძმისა ცოდვათა განიკითხვიდეს, ესევეთარსა ამას ყოვლადვე არა უწყევს სინანულად, და არცა გამოძიებად ცოდვათა თვსთა, რომელნი უმძიმეს არიან უფროჲს ტყვეისა მის, მრავალსასწორისა, და იგი სხვასა პრაცხავს, რომელი ყოვილ იყოს ანუ არა. ამისთვის ვითარცა ბნელსა შინა ვალს, მიმოკუეუების და დაისაჯების საუკუნოდ.	III, 55. სხუათა ცოდვებსა გამომკულეველმან დაღათუ მოგონებით განიკითხოს ძმად, არა სადმე დაუც სასობად სინანულისად, არცა უწყევს ჭეშმარიტებით გამოკულევად თვსთა ცოდვათა, უმძიმესთა ბრპენისა მრავალტალანტისათა. არცა უცნობიეს, თუ ვინაჲ იქმნების კაცი გულმძიმე, მეძიებელსა ტყვეილისასა და მოყუარესა ამოუბისასა. ამისთვის, ვითარცა უგუნურსა, და ბნელსა შინა მავალსა, დაუტევებიან თვსნი ცოდვანი და სხუათანი ეოცნებიან, ანუ მყოფნი ანუ ჰაზრითა საგონებელნი.
4. 31 (λα') Μὴ ὡς εὐνοοῦντας λογιζοὺ τοὺς λόγους σοὶ φέροντας λύπην ἐν σοὶ καὶ μῖστος πρὸς τὸν ἀδελφὸν ἐργαζομένους, καθ' ἀληθεύειν δοκῶσιν· ἀλλ' ὡς θανατοῦντας ὄφεις τοὺς τοιοῦτους ἀποστρέφου, ἵνα κακείνους τοῦ κακολογεῖν ἀνακόψῃς καὶ τὴν σεαυτοῦ ψυχὴν πονηρίας ἀπαλλάξῃς.	32. ნუ შეიწყნარებ სიტყუათა მისთა, რომელი იტყოდის შენ თანა ბოროტსა ძმისა შენისათვს, არამედ მსწრაფლ უკუნ-აქციე ვითარცა გუელი წამლიანი, მომავალი ცემად შენდა, რადთა სულიცა შენი აცხოვნო და იგიცა განაყენო ძვრისწესენებისაგან.	IV, 31. ნუ ვითარცა ერთგულთა შეჰრაცხ მათ, რომელნი მოგართუმიდენ შენ სიტყუათა მწუხარებისა და სიჭულილისა შემქმნელთა ძმისა მიმართ, დაღათუ ჭეშმარიტ საგონებელ იყვნენ. არამედ, ვითარცა მაკუდინებელთა გუელთა, ესრეთ ევლტოდი ესევეითართა მათ, რადთა მათიცა ძვრისმეტყუელებად განუკუეთო, და შენიცა სული სიბოროტისაგან განათავისუფლო.

4. 35 (λε') Οὐ δύναται ψυχὴ λογικὴ πρὸς ἄνθρωπον μῖσος τρέφουσα πρὸς τὸν Θεὸν εἰρηνεύσαι, τὸν τῶν ἐντολῶν δοτήρα. Ἐὰν γάρ, φησί, μὴ ἀφῆτε τοῖς ἀνθρώποις τὰ παραπτώματα αὐτῶν, οὐδὲ ὁ Πατὴρ ὑμῶν ὁ οὐράνιος ἀφήσει ὑμῖν τὰ παραπτώματα ὑμῶν. Εἰ δὲ ἐκεῖνος εἰρηνεύειν οὐ θέλει, ἀλλὰ σὺ γε σεαυτὸν ἀπὸ μίσους φύλαξον, προσευχόμενος ὑπὲρ αὐτοῦ γνησίως καὶ μὴ κακολογῶν αὐτὸν πρὸς τινά.	33. ვერ შეუძლია, რომელსა აქუნდეს ძვრისწესება ძმისათვის, რადთამცა ჰოვა ღმრთისაგან მოტევენბა, ვითარცა იტყვს მაცხოვარი: „უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს შეცოდებანი თქუენნი“.	IV, 35. ვერ ძალ-უც სულსა სიტყვერსა, რომელი კაცისა მიმართ სიძულილსა ჰმარხვიდეს, მშვდობის ყოფად ღმრთისა მიმართ, მცნებასა ამას მომცემელისასა, რამეთუ იტყვს: „უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან ზეცათამან მოგიტევნეს შეცოდებანი თქუენნი“. ხოლო უკუეთუ მას არა ჰნებავს დაგებად, არამედ შენ ოდენ დაიცევ თავი თვსი სიძულილისაგან, გულსმოდგინედ ლოცვითა მისთვის, და ნუვის თანა ძვრსა ზრახავ მისთვის.
4. 85 (πε') Πολλοὶ ἐσμεν οἱ λέγοντες, ὅλγιοι δὲ οἱ ποιοῦντες· ἀλλ' οὖν τὸν λόγον τοῦ Θεοῦ οὐδεὶς ὤφειλε νοθεύειν διὰ τὴν ἰδίαν ἀμέλειαν, ἀλλ' ὁμολογεῖν μὲν τὴν ἑαυτοῦ ἀσθενείαν, μὴ ἀποκρύπτειν δὲ τὴν τοῦ Θεοῦ ἀλήθειαν· ἵνα μὴ ὑπόδικοι γενώμεθα μετὰ τῆς τῶν ἐντολῶν παραβίασεως καὶ τῆς τοῦ Θεοῦ παρεξήγησεως.	36. მრავალნი ვართ მეტყუელნი და მცირდნი მოქმედნი, არამედ სიტყუაჲ ღმრთისაჲ არა ჯერ-არს დაფარვად თვსისა უდებებისაგან, არამედ აღვიართო თვსი უდებებაჲ სიმდაბლით და არა დაფართო საქმე კეთილი, რადთა არა თანამდებ ვიქმნეთ სასჯელსა ორგულებით და დაფარვითა მცნებათაჲთა.	IV, 85. მრავალ ვართ მეტყუელნი, ხოლო მცირედ – მოქმედნი, არამედ, არცა ეგრეთ ვის უკმს საეჭუ ყოფად სიტყუასა ღმრთისასა, თვსისა უდებებისათვის, გარნა აღსაარებად სადმე თვსსა უძლურებასა, ხოლო არა დაფარვად ღმრთისა ჭეშმარიტებასა, რადთა არა დასასჯელ ვიქმნეთ მცნებათაჲვ გარდასლვასა თანა, სიტყვსაცა ღმრთისა იგურდივ მითხრობისათვის.

შედარება გვიჩვენებს, რომ ელინოფილური თარგმანი ზედმიწევნითი სიზუსტით მისდევს ბერძნულ დედანს, თავისუფალი სტილის მთარგმნელ ეფთვიმე მთაწმიდელს კი სხვადასხვა ცვლილება შეუტანია ტექსტში: (1) ლექსიკური შენაცვლებანი, რითაც კონტექსტის შინაარსი არ იცვლება, (2) ფრაზის ან სიტყვების გადანაცვლება, (3) მიმღეობების შეცვლა ზმნის პირიანი ფორმებით, (4) ინფინიტივის შეცვლა ზმნის პირიანი ფორმით, (5) ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების გამოტოვება, (6) პირიქითაც, ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების ჩართვა, (7) ლოგიკური ცვლილება, (8) განსხვავებული აზრის შემოტანა.

აქვე მოვიყვანთ თითოეული ამ ცვლილების მაგალითებს (ეფთვიმესეულ

შესატყვისებს აღვნიშნავთ E სიმბოლოთი, ელინოფილი მთარგმნელისას – G-თი, შესაბამისი თავების მითითებით):

ლექსიკური შენაცვლებანი

ბერძნულ ტერმინებს ეფთვიმე ზოგჯერ თარგმნის არა მათი ზუსტი შესატყვისით, არამედ ანაცვლებს შინაარსობრივად მასთან ახლო მდგომი შესატყვისებით, ისე, რომ ამით კონტექსტის შინაარსს ან სრულიად არ ცვლის, ანდა შემოაქვს რაღაც ნიუანსი ან აქცენტი.

ელინოფილი მთარგმნელი კი, ისე, როგორც სხვა შემთხვევებში, განსახილავი ტექსტის ფარგლებშიც მუდამ ზუსტ შესატყვისებს ირჩევს. შდრ.:

ή κατὰ πρῶτον (I,11) განკითხვით ლოცვა²² (E), ლოცვა წმიდა (G)
συμπεριῶν (I,11) შეეწევინ (E), თანამოქმედ ექმნებიან (G)

τὸ νῦν (I,11) სულსა (E), გონებასა (G)

τῆς ἀγάπης (I,53) წყალობისაგან (E), სიყვარულისაგან (G)

ეს ბოლო შენაცვლება ეფუძნება I, 53-ე თავში κατὰ Θεὸν-ის გაგებას „საღმრთოდ“: ἡ κατὰ Θεὸν ἀγάπη („საღმრთოდ სიყვარული“), ეფთვიმეს გაგებით, ის სიყვარულია, რომელსაც ღმერთი იჩენს თავისი ქმნილების (კაცის) მიმართ, ხოლო ღმრთის სიყვარული გამოიხატება მისი უშურველი წყალობით, ამიტომაც პირდაპირ დაუწერია „წყალობა“. რატომ? – იმიტომ, რომ გამოთქმა – „საღმრთოდ სიყვარულისაგან განვრდომა“, შესაძლოა, ბუნდოვანი ყოფილიყო მკითხველისათვის, „ღმრთის წყალობისაგან განვრდომა“ კი გამჭვირვალე გამოთქმაა, ღმრთის წყალობის დაკარგვას ნიშნავს. ელინოფილურ თარგმანში ἡ κατὰ Θεὸν ἀγάπη გაგებულია „ღმრთისა მიმართ სიყვარულად“. რა გამოდის ასეთი გაგებით? – ღმრთის მიმართ სიყვარულიდან რომ არ განვარდე (ესე იგი, რომ არ დაკარგო ღმრთის მიმართ სიყვარული), ძმას შეურიგდი და ერთმანეთის მიმართ წყენა დაივიწყეთო. მაშასადამე, ღმრთის მიმართ სიყვარული, შესაძლოა, ჰქონდეს ისეთ კაცს, რომელსაც მწუხარება მიუყენებია ძმისათვის და თავადაც ნაწყენია მასზე (მის მიერ ჩადენილი რაიმე უმართებულო საქციელის გამო). თითქოსდა ასეთ კაცს ასწავლის ავტორი, – იმისათვის, რათა ღმრთის მიმართ შენს სიყვარულს რაიმე საფრთხე არ დაემუქროს, საჩქაროდ მიდი, შეურიგდი შენს ძმასო. ასეთ გაგებას ეწინააღმდეგება წმ. მაქსიმეს „ოთხასეულის“ I,

²² იმისათვის, რათა „განკითხვით ლოცვას“ გაუგებრობა არ შემოეტანა, ეფთვიმეს დაურთავს მისი განმარტება: „გონებითა ღმობიერითა და წმიდითა, რომელ არს სიყვარული“.

15-ე თავი, სადაც გარკვევითაა ნათქვამი: თუკი კაცი თავის თავში ხედავს თუნდაც მცირეოდენ კვალს სხვა კაცის მიმართ სიძულვილისას (რაც არ უნდა დამნაშავე იყოს მის მიმართ), ასეთი კაცი სრულიად უცხოა ღმრთის სიყვარულისაგან, ანუ ღმრთის სიყვარული ოდნავადაც არ გაჰკარებიაო.²³ მაშასადამე, I, 53-ე თავში ἢ κατὰ Θεὸν ἀγάπῃ-ს გაგება „ღმრთისა მიმართ სიყვარულად“ მართებული ვერ იქნება. ესაა საღმრთო სიყვარული – ღმრთისმიერი წყალობა, რომლისაგან განვრდომასაც უნდა უფრთხოდეს კაცი და ეს საფრთხე უნდა აიძულებდეს ძმის შეყვარებას და მის მიერ განცდილი ყოველგვარი წყენის დავიწყებას.

λυσόμενος (I,53) გულმწყრალი (E), შეწუხებული (G)
Μὴ δῶς (I,58) ნუ მიუპყრობ (E), ნუ მისცემ (G)
τῇ γλώσσῃ (I,58) სიტყუათა (E), ენასა (G)
τὴν ἀκοίην (I,58) ყურსა (E), სასმენელთა (G)
τῆς θείας ἀγάπης (I,58) წმიდისა სიყვარულისაგან (E), საღმრთოვსა სიყვარულისაგან (G)

ἀρχόμενον πέτεσθαι (I,85) უნებნ, რაფთამცა აფრინდა (E), იწყებდეს რაფრინვად (G)

τὴν κρίσιν (III,54) სასჯელი (E), მსაჯულობა (G)
ἥραν (III,54) მოუღებდეს (E), მოუტაცებდეს (G)
ποισταλάντου (III,55) მრავალსასაწოროსა (E), მრავალტალანტისა (G)
ἀπαλλάξῃς (IV,31) აცხოვნო (E), განათავისუფლო (G)
ἀνακόψῃς (IV,31) განაყენო (E), განუკუეთო (G)
λόγους σοι φέροντας (IV,31) იტყოდის შენ თანა (სიტყუათა) (E), მოგართუმიდენ შენ სიტყუათა (G)

λύπην ἐν σοὶ καὶ μῖσος πρὸς τὸν ἀδελφὸν ἐργαζόμενους (IV, 31) ბოროტსა ძმისა შენისათვის (E), მწუხარებისა და სიძულილისა შემქმნელთა ძმისა მიმართ (G)

θανатоῦντας (IV,31) წამლიანი (E), მაკუდინებელი (G)
ἀποστρέφου (IV,31) უკუნ-აქციე (E), ევლტოდი (G)
οὐδείς ᾧφειλε (IV,85) არა ჯერ-არს (E), არცა ეგრეთ ვის უკმს (G)
νοθεύειν (IV,85) დაფარვად (E), საეჭუ ყოფად (G)
ἀσθενεῖαν (IV,85) უდებება (E), უძლურებასა (G)

²³ „რომელი კვალსა სიძულილისასა ხედიდეს გულსა შორის თვსსა, რომლისაცა ბრალისათვის, რომლისაცა კაცისა მიმართ, ყოვლად უცხო არს იგი ღმრთისა მიმართისა სიყვარულისაგან, რამეთუ ღმრთისა მიმართ სიყვარული კაცისა მიმართსა სიძულილსა ყოვლად არა თავს-იდებს“ [კოჭლამაზაშვილი (გამოც.), *წმ. მატსიმე აღმსარებერი*, გვ. 131].

წინადადების კონსტრუქციისა და კონტექსტის შინაარსის შეცვლა
πρὸς τὸν Θεὸν εἰρηνεῦσαι (IV,35) რაფთამცა პოვა ღმრთისაგან მოტევება
(E), მშვდობის ყოფად ღმრთისა მიმართ (G)

πρὸς ἄνθρωπον μῖσος τρέφουσα (IV,35) რომელსა აქუნდეს ძვრისწესენება
ძმისათვის (E), რომელი კაცისა მიმართ სიძულილსა ჰმარხვიდეს (G)

καὶ ἀγλῶτριος εὐρεθῆς τῆς αἰωνίου ζῶης (I,58) კიდე-იპოვო მოწაფეთაგან
ქრისტესთა (E), უცხო იპოო საუკუნოვსა ცხორებისაგან (G)

ფრაზის ან სიტყვების გადანაცვლება

μήτε τὸν ἀδελφὸν ἀφῆς κοιμηθῆναι λυποῦμενον κατὰ τοῦ μήτε σὺ κοιμηθῆς
λυποῦμενος κατ' αὐτοῦ (I,53) „ნუ დასწვები გულმწყრალი ძმისაგან შენისა
და ნუცა მას მიუშუებ შენგან მწუხარედ დაწოლად“ (E). შდრ.: „ნუცა ძმასა
უტევებ შენთვის მწუხარებით დაძინებად, ნუცა შენ მისთვის შეწუხებულ
დაიძინებ“ (G).²⁴

καὶ ὁ μὲν οὐρανὸς ἐξέστη ἐπὶ τοῦτ'α, ἢ δὲ γῆ ἔφριξεν (III,54) „ცაა განტყდა
(resp. განჰკრთა) ამას ზედა, და ქუეყანაა განცვბრდა საშინელსა ამას
საქმესა“ (E). შდრ.: „ამას ზედა განცვბრდა ცაა და განჰკრთა ქუეყანაა“ (G).
ბერძნულთან მიმართებით, ეფთვიმესეულ თარგმანში გადანაცვლებითაა
მოხსენიებული სიტყვები – „განცვბრება“ და „განკრთომა“. „განცვბრება“
ბერძნულში „ცაზე“ ითქმის, ეფთვიმესეულში – „ქუეყანაზე“. „განკრთომა“
კი – პირიქით: ბერძნულში – „განჰკრთა ქუეყანაო“, ეფთვიმესეულში – „ცაა
განკრთაო“. ოლონდ ეფთვიმესეული ვერსიის შემცველი ხელნაწერების
(STUD) დაზიანებული დედნის შეცდომა მათშიც გადასულა: „განკრთა“-ს
ნაცვლად „განტყდა“ დაუწერიათ.²⁵

ἵνα κἀκείνους τοῦ κακοιογεῖν ἀνακόψῃς καὶ τὴν σεαυτοῦ ψυχὴν ποτηρίᾳς
ἀπαλλάξῃς (IV,31) „რაფთა სულიცა შენი აცხოვნო და იგიცა განაყენო
ძვრისწესენებისაგან“ (E), შდრ. „რაფთა მათიცა ძვრისმეტყუელება
განუკუეთო, და შენიცა სული სიბოროტისაგან განათავისუფლო“ (G)

მიმღეობების შეცვლა ზმნის პირიანი ფორმებით

πτεροῦμενος (ფრთოვანქმნილი G) (I,11) – შეისხამს ფრთეთა (E)

τὸν πόδα δεδεμένον (ფერვდაბმული G) (I,85) – რაჟამს დაების მახითა (E)

²⁴ აქ ფრაზების გადანაცვლებასთან ერთად ლექსიკური ერთეულების
ჩანაცვლებასაც ვხედავთ: დაძინება > დაწოლა. შეწუხებული > გულმწყრალი.

²⁵ ეს ცთომილება, შესაძლოა, კარნახით წერისასაა გაჩენილი, „განკრთა“-ს
ბუნდოვანი გამოთქმით და „განტყდა“-სთან მიმსგავსებით.

περιεργαζόμενος (გამომკულებელმან G) (III,55) – რომელი განიკითხვიდეს (E)

ἐν σκότει διαπορευόμενος (ბნელსა შინა მავალსა G) (III,55) – ბნელსა შინა ვალს (E)

ინფინიტივის შეცვლა ზმნის პირიანი ფორმით:

μὴ ἐκπεσεῖν (არა-განვრდომად G) (I,53) – რაფთა არა განჰვარდე (E)

πέτεσθαι (ფრინვა G) (I,85) – რაფთამცა აფრინდა (E)

ὁμιλοεῖν (აღსაარებად G) (IV,85) – აღვიართო (E)

ეფთვიმეს ვერსიაში გამოტოვებულია ცალკეული სიტყვები და ფრაზები (ისინი უგამონაკლისოდ დასტურდება ელინოფილურ თარგმანში;

შედარებისათვის ისინიც მოგვყავს აქვე):

πρὸς τὸν θεῖον ἔρωτα (I,11) – „საღმრთოესა მიმართ ტრფიალებისა“ (G)

δι' ἐκτενοῦς προσευχῆς (I,53) – „ლოცვითა აღჰყრობილითა“ (G)

τῇ ἀκοῇ τοῦ φιλοψόγου, ἡδὲως λαλῶν ἢ ἀκούων κατὰ τοῦ πέλαι (I,58) – „სახმენელსა ძაგებისმოყუარისასა წადიერებით თქუმად ანუ სმენად რასმე მოყუისათვს“ (G)

μὴ καταδικάζετε, ἵνα μὴ καταδικασθῇτε (III,54) – „ნუცა განიკითხავთ, რაფთა არა განიკითხნეთ“ (G)

ὡς ἀναμάρτητοι (III,54) – „ვითარცა უცოდველნი“ (G)

αὐτοὶ δὲ οὐκ αἰσχύνονται ἀναισθητοῦντες (III,54) – „ხოლო იგინი უგრძნობელობით არა შეირცხვნებენ“ (G)

ἢ καὶ ἐξ ὑπονοίας τὸν ἀδελφὸν κρίνων, οὕτω ἔβαλεν ἀρχὴν μετανοίας (III,55) – „დაღათუ მოგონებით განიკითხოს ძმაჲ, არა სადმე დაუც სასოებაჲ სინანულისაჲ“ (G)

ἐν ἀληθείᾳ (III,55) – „ჴეშმარიტებით“ (G)

οὐδὲ ἔγωγ πόθεν γίνεται ἄνθρωπος βαρυσκάρδιος ἀγαπῶν ματαιότητα καὶ ζήτῶν ψεῦδος (III,55) – „არცა უცნობიეს, თუ ვინაჲ იქმნების კაცი გულმძიმე, მეძიებელსა ტყუვილისასა და მოყუარესა ამაოებისასა“ (G)

ἀφείς τὰς ἑαυτοῦ ἀμαρτίας (III,55) – „დაუტევებიან თვხნი ცოდვანი“ (G)

ἢ νομιζόμενας ἐξ ὑπονοίας (III,55) – „ანუ ჰაზრითა საგონებელნი“ (G)

κἂν ἀληθεύειν δοκῶσιν (IV,31) – „დაღათუ ჴეშმარიტ საგონებელ იყვნენ“ (G)

ψυχὴ λογικὴ (IV,35) – „სულსა სიტყვერსა“ (G)

τὸν τῶν ἐντολῶν δοτήρα (IV,35) – „მცნებასა ამას მომცემელისასა“ (G)

Εἰ δὲ ἐκεῖνος εἰρηγεύειν οὐ θέλει, ἀλλὰ σὺ γε σεαυτὸν ἀπὸ μίσους φύλαξον, προσευχόμενος ὑπὲρ αὐτοῦ γνησίως καὶ μὴ κακολογῶν αὐτὸν πρὸς τίνα (IV 35)

– „ხოლო უკუეთუ მას არა ჰნებაგს დაგებად, არამედ შენ ოდენ დაიცევ თავი თვისი სიძულილისაგან, გულსმოდგინედ ლოცვითა მისთვის, და ნუვის თანა ძვრსა ზრახავ მისთვის“ (G)

პირიქითაც, ეფთვიმეს, სხვადასხვა მოსაზრებით, ცალკეული სიტყვები და ფრაზები ჩაურთავს:

„გონებითა ღმობიერითა და წმიდითა, რომელ არს სიყუარული“ (2)

„სიმდაბლე“ (4)

„და ესრეთ შეიწირავს შენგან ცრემლთა“ (4)

„დაბრკოლებად ძმისა შენისა“ (5)

„თანამდებ იქმნებით სასჯელსა საუკუნესა“ (27)

„რომელსა მოსცა მამამან“ (27)

„საშინელსა“ (27)

„მიმოკუეთების და დაისაჯების საუკუნოდ“ (28)

„მომავალი ცემად შენდა“ (31)

„სიმდაბლით“ (36)

ლოგიკური ცვლილება:

διὰ ταύτης γὰρ πρὸς τὸν Θεὸν πεποισμενος, ἔξω γίνεται πάντων τῶν ὄντων (I,11)[„რამეთუ ამის (resp. ლოცვის) მიერ ღმრთისა მიმართ ფრთოვანქმნილი გარეგან იქმნების ყოველთა არსთა“]. აქ ორი თეზისია წარმოდგენილი: (1) ლოცვა ფრთოვან-ჰყოფს კაცს, და (2) ასეთი კაცი განეყენება (ანუ ჩამოსცილდება) ყოველ არსს, ყველა ქმნილებას, რომელნიც ღმრთთან გონებით კავშირს არიან მოკლებული. ეს კი ქვეტექსტით ღმრთთან მიახლებას მოასწავებს. ეფთვიმესეულ თარგმანში ეს ორი თეზისი ქვეტექსტითურთ ერთ მთლიანობად შეივრა: „რამეთუ მის (ლოცვის) მიერ შეისხამს ფრთეთა და აღამაღლებს სულსა ზეცას წინაშე ღმრთისა“.

კონტექსტთან შეუთანხმებელი აზრის შემოტანა ტექსტში

τῆς αἰωνίου ζωῆς („საუკუნოჲსა ცხოვრებისაგან“) (I,58) – ამ გამოთქმას ეფთვიმე ცვლის: „მოწაფეთაგან ქრისტესთა“ (5). ამ ცვლილების საჭიროება ჩვენთვის ბუნდოვანია. კიდევ უფრო გაუგებარია I,85 (10) და IV,85 (36) თავებში შეტანილი ცვლილებები.²⁶ საგარეოდ, ეს თავები ეფთვიმესეულ

²⁶ I,85 (10) თავის ბოლო ნაწილში ეფთვიმესეულ ვერსიას ბერძნულისაგან განსხვავებული თემა შემოაქვს, მაგრამ ლოგიკურად ებმის თავის წინა ნაწილს, ხოლო IV,85 (36) თავის ბოლო ნაწილი ფორმალურად თითქოს ემთხვევა ბერძნულ ტექსტს, მაგრამ სრულიად სხვა შინაარსი შემოაქვს და

ვერსიაში გადამწერთა მიერ უნდა იყოს დამახინჯებული.²⁷

სხვა შემთხვევებში კი ეფთვიმესეული ვერსია დედნისეული აზრების საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

ამრიგად, ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ შედგენილ კომპილაციურ ასკეტიკურ კრებულში (ანთოლოგიონში), რომელიც შუა საუკუნეების სამი ხელნაწერთაა ჩვენამდე მოღწეული (ხეც S-1595, ხეც A-116, ხეც A-57), და ერთ გვიანდელ კოდექსშიც (ხეც A-337, XVIII-XIX სს.) გვხვდება აქამდე უცნობი მისი ერთი თარგმანი – რამდენიმე თავი წმ. მაქსიმე აღმსარებლის თხზულებისა – ოთხასეული „სიყუარულისათვის“. სხენებულ ანთოლოგიონში შეტანილია ფრაგმენტები ეფთვიმე მთაწმიდელის მრავალი თარგმანიდან. ამ ფრაგმენტთა უმეტესობა ზუსტად ემთხვევა ეფთვიმესეული სრული თარგმანების შესაბამის მონაკვეთებს, ზოგიერთი ფრაგმენტი კი ეფთვიმეს სრული თარგმანების შესაბამისი მონაკვეთების მცირედ განსხვავებულ რედაქციულ ვარიანტს წარმოგვიდგენს. დაკვირვება ადასტურებს, რომ სრულ და გამოკრებილ ტექსტთა სხვაობის შემთხვევაში სრული თარგმანების ვარიანტი სტილურად უფრო დახვეწილია, ვიდრე ზემოხსენებულ ასკეტიკურ კრებულებში შეტანილი ფრაგმენტები. ამ ფაქტზე დაყრდნობით გამოვთქვამთ აზრს, რომ ეფთვიმე მთაწმიდელს ეტაპობრივად უმუშავია თავის თარგმანებზე: ჯერ უთარგმნია ფრაგმენტები იმ ლიტერატურისა, რის თარგმნასაც გეგმავდა მომავალში (ამ ფრაგმენტებს საგანგებო კრებულშიც მოუყარა თავი), შემდეგ კი თანდათანობით შესდგომია ამ წინასწარ განსაზღვრული მთარგმნელობითი გეგმის შესრულებას; სრულად უთარგმნია ის თხზულებები, რომლებიც პირველ ეტაპზე გამოკრებით ჰქონდა ნათარგმნი. ზოგი ფრაგმენტი უცვლელად გადაიტანა სრულ თარგმანში, ზოგიც – სტილურად გადამუშავებული სახით.

ჩვენთვის ცნობილია ეფთვიმეს მიერ სრულად ნათარგმნი თითქმის ყველა ის თხზულება, რომელთა ფრაგმენტები ხეც S-1595, ხეც A-116, ხეც A-57 კრებულებშია თავმოყრილი. რადგან ამ კრებულებში სხვა ფრაგმენტებთან ერთად აღმოჩნდა წმ. მაქსიმე აღმსარებლის სხენებული „ოთხასეულის“ ფრაგმენტებიც, ალბათ, გამორიცხებული არ უნდა იყოს, რომ ოდესმე სრულადაც ეთარგმნა იგი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი რამ ჩვენამდე არაა მოღწეული.

თავის წინა ნაწილთან ლოგიკური კავშირიც დარღვეულია.

²⁷ „ოთხასეულის“ თავთა ეფთვიმესეული თარგმანის სხვა ადგილასაც რომ აღმოჩნდა გადაწერის შეცდომა [სახელდობრ, III, 54 (27) თავში], ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ („განკრთა“-ს ნაცვლად „განტყდა“).

წმ. მაქსიმეს „ოთხასეულის“ ფრაგმენტებთან მითითებული არაა მთარგმნელის ვინაობა, მაგრამ რამდენადაც იგი ეფთვიმე მთაწმიდელის სხვა თარგმანების გვერდითაა მოთავსებული და ეფთვიმეს მთარგმნელობითი პრინციპებიც ზედმიწევნითაა მასში გამოვლენილი (კლება, მატება და სხვა გადახვევები დედნისაგან), მთარგმნელის ვინაობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. სწორედ ეფთვიმეს ამ თარგმანის თავისებურებათა მიმოხილვას ეძღვნება წინამდებარე სტატია.

ბიბლიოგრაფია

- გაბიძაშვილი**, ასკეფურ-მისციკური ნათარგმნი და ორიგინალური მწერლობა = ე. გაბიძაშვილი, ასკეფურ-მისციკური ნათარგმნი და ორიგინალური მწერლობა, ეპისკ. სტეფანე (რედ.), ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან III, თბილისი, 2016.
- თარგმანება** მათეს სახარებისა = წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანება მათეს სახარებისა, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, წიგნი I, თბილისი 1996.
- კეკელიძე**, უცხო ავტორები = კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში, კ. კეკელიძე: ეფთვიმე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან V, თბილისი, 1957, გვ. 3-114.
- კეკელიძე**, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია = კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980.
- კოჭლამაზაშვილი** (გამოც.), პავლეს ეპისტოლეთა განმარტება = ე. კოჭლამაზაშვილი (გამოც.), პავლეს ეპისტოლეთა განმარტება გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ, თბილისი, 2003.
- კოჭლამაზაშვილი**, „ეფთვიმე მთაწმიდელის ‘რჩევით გამოკრებულნი‘“ = ე. კოჭლამაზაშვილი, „ეფთვიმე მთაწმიდელის ‘რჩევით გამოკრებულნი‘“, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, VII (2014), გვ. 585-672.
- კოჭლამაზაშვილი**, „ეტიპობრიობა ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მოღვაწეობაში“ = ე. კოჭლამაზაშვილი, „ეტიპობრიობა ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მოღვაწეობაში“, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი VII (2014), გვ. 673-731.
- კოჭლამაზაშვილი**, „‘გამოკრებულ სწავლათა’ წარმომავლობისათვის“ = ე. კოჭლამაზაშვილი, „შუა საკუნეების „კურთხევათა“ კრებულებში ჩართულ „გამოკრებულ სწავლათა“ წარმომავლობისათვის“, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი XIV (2021), გვ. 174-304.
- კოჭლამაზაშვილი**, „წმ. მაქსიმე აღმსარებლის მიგებანი თალასე ხუცის კითხვებზე“ = ე. კოჭლამაზაშვილი, „წმ. მაქსიმე აღმსარებლის მიგებანი თალასე ხუცის კითხვებზე და მისი ეფთვიმე მთაწმიდელისეული თარგმანი“, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი X (იბეჭდება).
- კოჭლამაზაშვილი**, „წმ. გრიგოლ ნოსელის „დიდი კატექეტიკური სიტყვა“ = ე.

- კოჭლამაზაშვილი, „წმ. გრიგოლ ნოსელის ‘დიდი კატექეტიკური სიტყვა’ და მისი ძველი ქართული თარგმანი“, *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი* I (2008), გვ. 9-204.
- კოჭლამაზაშვილი**, „გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრება“ = ე. კოჭლამაზაშვილი, „წმ. გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრება“ და მისი ძველი ქართული თარგმანი“, *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი* II (2009), გვ. 375-539.
- კოჭლამაზაშვილი**, *ევაგრე პონდოერის De Oratione* = ე. კოჭლამაზაშვილი, *ევაგრე პონდოერის De Oratione-ს ძველი ქართული ვერსიები*, თბილისი, 2022.
- კოჭლამაზაშვილი** (გამოც.), *წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“* = ე. კოჭლამაზაშვილი, *წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეულის“ ძველი ქართული თარგმანი*, თბილისი, 2022.
- მეტრეველი**, „სამახსოვრო წიგნები“ = ე. მეტრეველი, „იოვანე და ეფთვიმე ათონელებისადმი მიძღვნილი „სამახსოვრო წიგნები“, ე. მეტრეველი, *ფილოლოგიური ძიებანი*, თბილისი, 1995, გვ. 3-41.
- ქავთარია** (გამოც.), „დიალოღონი“ = მ. ქავთარია (გამოც.), „დიალოღონი“, *მწიგნობრობა ქართული*, ტ. 7, თბ., 2009, გვ. 241-441, 491-501.
- ქიტოშვილი - ნაჭყებია** (გამოც.), *წიგნი წმიდისა მამისა დოროთესი* = გ. ქიტოშვილი, ნ. ნაჭყებია (გამოც.), *წიგნი წმიდისა მამისა დოროთესი, თარგმნილი წმიდა ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ*, თბილისი, 2018.
- შჩერბაკოვი**, „A-116 და A-57 ნუსხების“ = კ. შჩერბაკოვი, „A-116 და A-57 ნუსხებისა და Quaestiones ad Thalassium-ის ექვთიმესეულ თარგმანში შესული 13 კითხვა-მიგვების შესახებ“, *თბილისის სასულიერო აკადემია, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები VIII-IX* (2018), გვ. 163-290.
- ცხორება** ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვმესი = „ცხორება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა, აღწერილი გლაზაკისა გეორგის მიერ სუცესმონაზონისა“, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი II (XI-XV სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1967, გვ. 38-100.
- წმ. იოვანე სინელი**, *კლემაქსი* = წმიდა იოვანე სინელი, *კლემაქსი, რომელ არს კიბე, თარგმნილი წმიდა ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ*, თბილისი, 2016.
- Angelo di Berardino** (ed.), *Patrologia*, Vol. V = Angelo di Berardino (ed.), *Patrologia*, Vol. V, Dal Concilio di Calcedonia (451) a Giovanni Damasceno (A750), I Padri orientali. Genova 2000.
- Aldo Ceresa-Gastaldo** (ed.), *Massimo Confessore* = Aldo Ceresa-Gastaldo (ed.), *Massimo Confessore, Capitoli sulla carità // Verba Seniorum* 3, Roma 1963.
- J.-P. Migne** (ed.), *Patrologiae cursus completus*, t. 90, 1865, col. 959-1080.
- Μαξίμου τοῦ Ὁμολογίτου Ἀπαντα τὰ ἔργα, Φιλοκαλία τῶν νηπτικῶν καὶ ἀσκητικῶν**, τόμος 14, Ἑκδότικος οἶκός Τὸ Βυζάντιον, Θεσσαλονίκη 1992.

ხელნაწერები:

- ხეც. A-39 (XIII ს.) – კრებული (წმ. იოანე სინელის „კლემაქსი“, წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“ და „ორასეული“)
- ხეც. A-57 (XVII-XVIII ს.) – ასკეტიკური ანთოლოგიონი
- ხეც. A-116 (XVII-XVIII ს.) – ასკეტიკური ანთოლოგიონი
- ხეც. A-234 (XVIII ს.) – კრებული (წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“ და „ორასეული“)
- ხეც. A-435 (XVIII ს.) – კრებული (წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“ და „ორასეული“)

ხეც. A-711 (1785 წ.) – კრებული (აღმსარებლის წიგნი, ქორწინებისა თავთათვს, წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“, „ორასეული“ და „სწავლანი სულიერნი“)
ხეც. A-1206 (XVIII ს.) – კრებული (წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“ და „ორასეული“)
ხეც. S-327 (XVIII ს.) – კრებული (წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“ და „ორასეული“)
ხეც. S-1350 (1794 წ.) – კრებული (წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეული“, „ორასეული“ და „სწავლანი სულიერნი“)
ხეც. S-1595 (XIII ს.) – ასკეტიკური ანთოლოგიონი

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
tkochlamazashvili@yahoo.com

A PREVIOUSLY UNKNOWN TRANSLATION BY EUTHYMIUS THE HAGIORITE

SUMMARY

This publication introduces a hitherto unknown translation attributed to Euthymius the Hagiorite (+1028). It includes selected chapters (I, 11; I, 53; I, 58; I, 85; III, 54; III, 55; IV, 31; IV, 35; IV, 85) from *Otkhaseuli* (*Four Hundred Chapters*) by St. Maximus the Confessor, a notable ascetic text centered on the theme of love (*Capita de caritate*, CPG 7693). These chapters were discovered in three anthological manuscripts: NCM S-1595 (13th century), NCM A-116 (18th century), and NCM A-57 (18th century), as well as in a smaller codex, NCM A-337 (18th-19th centuries).

The three anthologies represent an extensive compilation of patristic texts, meticulously selected by the compiler, likely Euthymius the Hagiorite, during the early stages of his translation work. This conclusion arises from an analysis of the fragments, which were extracted from works by St. Maximus the Confessor, St. Basil the Great, St. Gregory the Theologian, St. Athanasius of Alexandria, St. Anastasius of Sinai, St. Dorotheus of Gaza, St. John of Sinai, and other early Christian writers. Each of these anthologies is titled “*Carefully Chosen*”, reflecting the deliberate nature of the selections.

Notably, many fragments in the anthologies correspond to works Euthymius later translated in full. Comparing these fragments with the corresponding sections in his full translations reveals that, while some passages are identical,

others show minor stylistic differences. In cases where the fragment's translation exceeds the quality of its equivalent in the full translation, the latter demonstrates more refined stylistic choices. This suggests that Euthymius first introduced select passages to Georgian readers as a prelude to his complete translations. Later, he incorporated and refined these earlier fragments into the full texts.

If we were to assume that Euthymius initially completed full translations and then extracted fragments, it would be difficult to explain why some of the fragments appear in a less polished stylistic form. Therefore, it seems evident that his translation work progressed in phases: identifying key texts, translating key sections to fulfill immediate needs, and eventually completing the works according to a systematic plan.

Virtually all the works referenced in these anthologies and attributed to Euthymius were later fully translated by him. The presence of fragments from *Otkhaseuli* by St. Maximus in the anthologies raises the possibility that Euthymius may have completed a full translation of this work as well. However, such a translation has not survived, nor is it mentioned in the catalogues of his contemporaries, such as Ioane the Hagiorite or Giorgi the Hagiorite.

The manuscripts containing the fragments of *Otkhaseuli* do not explicitly identify the translator. Nevertheless, the proximity of these texts to other translations by Euthymius and the evident adherence to his translation principles – such as additions, omissions, and stylistic adaptations – strongly suggest his authorship. This article examines the distinct features of Euthymius's translation of *Otkhaseuli*. For comparison, relevant passages from later Hellenophile translations of St. Maximus's works are also included.

Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts
tkochlamazashvili@yahoo.com

Ekvtime Kochlamazashvili